

0231 ენის დაუფლება LANGUAGE ACQUISITION

„ფარისი“-ს, „მერანი“-სა და „მაზეპა“-ს მოტივებისა და ადრესატების შესახებ

მაია ნიკოლაძე

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

E-mail: m.nikoladze2019@gmail.com

რეზიუმე: XIX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა სამი უდიდესი პოეტური ნაწარმოები: ჯ.გ. ბაირონის „მაზეპა“, ა. მიცკევიჩის „ფარისი“ და ნ. ბარათაშვილის „მერანი“. სამივე მათგანმა არნახული გავლენა იქონია ლიტერატურის შემდგომ განვითარებაზე. მათ შორის ბევრი რამ არის საერთო, მაგრამ ასევე ბევრია განსხვავებაც. ამ განსხვავებებს შორის არის ამ პოეტური ნაწარმოებების ადრესატები და გარკვეულწილად მოტივები. სტატიაში სწორედ ეს საკითხები იქნება განხილული.

საკვანძო სიტყვები: რომანტიზმი, ჯ.გ. ბაირონი, ა. მიცკევიჩი, ნ. ბარათაშვილი, ლიტერატურული გავლენები, „ფარისი“-ს, „მერანი“-სა და „მაზეპა“-ს ადრესატები.

დასავლურ და აღმოსავლურ სამყაროში თეთრ რაშზე ამხედრებული რაინდი ყოველთვის იყო კეთილის ბოროტზე გამარჯვებისა და თავისუფლების სიმბოლო, რომელიც ღრმად აღიბეჭდა ცნობიერებაში როგორც სახე თავისუფლებისთვის ბრძოლისა და გამარჯვებისა. სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ XIX საუკუნეში, როდესაც ფეხს იკიდებს რომანტიზმი - მიმდინარეობა ხელოვნებაში, რომელიც თითქოს იძირება თავის თავში, თავის გრძნობებში, რათა იქ იპოვოს პასუხები ზოგადსაკაცობრიო კითხვებზე, იპოვოს გასაღები სოციალური უსამართლობისა და ჩაგვრის აღმოფხვრისა, მის ცნობიერში თითქოს ერთბაშად წამოტივტივდა რაშზე ამხედრებული რაინდი, რომელმაც სხვადასხვაგვარად შეისხა ხორცი რომანტიკოსი პოეტების ჯ.გ. ბაირონის, ა. მიცკევიჩის და ნ. ბარათაშვილის პოეზიაში „მაზეპას“, „ფარისისა“ და „მერანის“ სახით. სამივე პოეტური ნაწარმოები ჯ.გ. ბაირონის „მაზეპა“, ა. მიცკევიჩის „ფარისი“ და ნ. ბარათაშვილის „მერანი“ შექმნილია ერთსა და იმავე ეპოქაში, ჯერ დაიწერა „მაზეპა“ (გამოქვეყნდა 1819 წ.), შემდეგ „ფარისი“ (გამოქვეყნდა 1829 წ.), ბოლოს - „მერანი“ (დაიწერა 1842 წ.). დაიწერა განსხვავებულ გეოგრაფიულ არეალში: ჯორჯ ბაირონი ინგლისელი პოეტი გახლდათ, ადამ მიცკევიჩი - პოლონელი, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილი - ქართველი. ძნელია ცალსახად ითქვას, რომ „ფარისი“ „მაზეპა“-ს შთაგონებით დაიწერა, მით უფრო რომ თავად მიცკევიჩს არსად აქვს მითითება „მაზეპა“-ზე, ხოლო გარკვეული ვერსიის მიხედვით, ლექსის ერთ-ერთი „სტროფი წარმოადგენს არაბულიდან თარგმანს, ამოღებულს ლაგრანჟის „არაბული ანთოლოგიის“ შენიშვნებიდან“:

*„ჰგავს სეტყვის ღრუბელს ყორნისფერი ტაიჭი ჩქარი,
მუბლზე ვარსკვლავი უციმციმებს რიყრეჟის სხივად,
ვით სირაქლემას ფრთებს, მის ფაფარს აღელვებს ქარი
და თითქო თეთრი ფეხებიდან ელვები ცვივა“ [1].*

თუმცა მსგავსება „ფარის“-სა და „მაზეპა“-ს შორის ხელშესახებია, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამ მიცკევიჩი გახლდათ დიდი თავყვანისმცემელი ჯორჯ ბაირონის პოეზიისა. შეიძლება ითქვას, რომ „მაზეპა“-ს ძირითადი ნაწილი, როდესაც მას ცხენი მიაქანებს უგზო-უკვლოდ, ფოკუსირებულია და გაშლილი ლირიულ-შინაარსობრივად „ფარისი“-ში.

ლიტერატურული წყაროების მიხედვით ვიცით, რომ ა. მიცკევიჩმა თავისი პოემა მიუძღვნა ვ. რჟევუსკის, პოლონელ აღმოსავლეთმცოდნეს, რომელიც სამეცნიერო კვლევების მიზნით არაბეთში ყოფნისას დაიღუპა: „ფარისი“ ნიშნავს „მხედარს“, „რაინდს“. მიცკევიჩმა დასწერა თავისი პოემა პოლონეთის ორიენტალისტის ვ. რჟევუსკის სახსოვრად, რომელსაც ის ბედი ეწია, რაც პოემის მხედარს. ვენეცესლავ რჟევუსკი სამეცნიერო გამოკვლევისთვის არაბეთს იყო წასული, სადაც 15 წელი დაჰყო და

მცირე ხნით ევროპაში ჩამოსვლის შემდეგ ხელახლა განშორდა სამშობლოს, თვისთა და მეგობართა. და წავიდა არაბეთს, საცა დაიღუპა ისე, რომ ცოლშვილმა ამზავიც კი ვერ შეიტყო მისი.

„ფარისი“-ში გამოხატულია არაბი, დაუღუგეულ უდაბნოში გაგარდნილი, სადაც არც წყალია, არც მცენარე, არც კაცის სული მოიძებნება, საცა მარტო მზე და ქვიშაა. არაბი სძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას, რომელიც იმას ხვდება გზაზე და განაგრძობს წინ-ქროლვას:

„თეთრფეხა რაშო, წინ გასწი მალე!

მთებო, ტყეებო, გზა დამიცალეთ!“

შუაგულ უდაბნოში მას საშინელი ჩხავილით აედევნება ძელქორი, რომელსაც მხედრისა და ცხენის ლემის მადა აშლია, მაგრამ არაბი იმასაც დააღწევს თავს და ეტყვის თავის მერანს:

„თეთრფეხა რაშო, წინ გასწი მალე!

კლდეებო, ძერავ, გზა დამიცალეთ!“

მფრინავის შემდეგ დაეწევა მას ცის ღრუბელი. ის აფრთხილებს მხედარს, რომ წინ არ წავიდეს, რადგანაც წინ არც ერთი ცვარი წყალი არ არის, მაგრამ ვერც ეს მუქარა შეამჩნევს თავგანწირულ მხედარს... გზა-გზა ის შეეყრება უდაბნოში დაღუპულ ქარავანს, მაგრამ ვერც ეს ძვლები მოიყვანს გონზე არაბს. ბოლოს ატყდება საშინელი ქარიშხალი, რომლის მძვინვარებასაც გადაურჩება მხედარი. შემდეგ ის განერთხება დედამიწაზე და მოისვენებს. დაუწყებს ცქერას ვარსკვლავებს. მისი ფიქრები იკარგებიან ზეცას და ფიქრებთან ერთად მისი სულიც.“ როგორც ამ შინაარსიდან სჩანს, ბარათაშვილის ლექსსა და „ფარის“-ს შორის ცოტა განსხვავება არ არის. ჩვენმა პოეტმა გადმოიტანა თავის ლექსში მხოლოდ დედააზრი ლექსისა: მხედარი და მერანი და ჩაურთო შიგა და შიგ ელემენტები „ფარისი“-სა: „თვალბედითი შავი ყორანი“, „გასწი, მერანო“, „კლდენი“ და „მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა“ და სხვ. (ეს ელემენტები მიცკევიჩსაც არაბული ლექსებიდან აქვს გადმოღებული, როგორც ლაგრანჟის ანთოლოგიიდან ჩანს). მაგრამ შინაარსი მისი ლექსისა სულ სხვაა, ვიდრე შინაარსი „ფარისი“-სა [2].

„ნაშრომში გადმოცემულია ბედუინების სული, მათი მჭიდრო კავშირი თავიანთ ცხენებთან და მათი უშიშარი ხასიათი. იგი სხვა რომანტიკული პოემებისგან იმით განსხვავდება, რომ ფოკუსირებულია უდაბნოზე, როგორც მოვლენების ადგილზე და მხედრის შეუდრეკელობაზე. პოემა ასახავს რომანტიზმის ეპოქისათვის დამახასიათებელ აღტაცებას ეგზოტიკური და გაუხედავით, ამასთან ეს არის ზეიმი ადამიანის დაუმორჩილებელი სულისა“ [3].

„ბარათაშვილმა ჩინებულად გამოიყენა მიცკევიჩის ლექსის საერთო ფონი. „ფარისი“-ში არავინ იცის, რატომ გადმოჰრილა არაბი და სად მისწრაფის იგი! ბარათაშვილის ლექსში კი მხედრის განზრახვა ცხადია. ის მირბის და მიფრინავს, რომ გაეცეს კაცს, სწორთა და მეგობარსა, მამულს, რომელთანაც ყოფნა მოსწყენია, რომ ან ნიავს მისცეს მისი შავად მღელვარე ფიქრი, ან თან გაატანოს მერნის გიჟურ ლტოლვას. არაბულ მერანზე ბარათაშვილმა მისი სულით ობოლი კაცი შესვა, რომელსაც, როგორც ვიცით, კაცთმორის ყოფნა ეზარება. ეს მერანი უგზო-უკვლოდ მიაფრენს მის მხედარს, რომელიც ბედს არ ეურჩება“ [4].

ბოლო ნაწილში უნდა შევედოთ ი. მეუნარგიას, პირველ რიგში, ბარათაშვილის მხედარი სწორედან რომ ბედს ეურჩება, სხვაგვარად რას უნდა ნიშნავდეს სიტყვები სტროფიდან:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება,

და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;

და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,

და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავი ბედის წინ გამოუქროლდეს!“

ტატოს მერანის მიერ გაკვალული გზა მათთვისაა, ვინც იმავე გზით მიდის, რა გზითაც ტატო წავიდა, და ეს გზა მათთვისაა, ვინც შავი ბედის წინ გამოაქროლებს თავის რაშს, „წინ გამოქროლება“ დაპირისპირებას ნიშნავს და არა მიყოლას; ბარათაშვილის „მერანი“ ბედთან მეტროპოლია და მისი სწრაფვა არდანებებას ნიშნავს. ასევე არ მიგვაჩნია მართებულად, რომ თითქოს ახალგაზრდა ბარათაშვილის სურდეს მეგობრებისა და ტოლ-სწორებისგან გაქცევა, არამედ ეს გაქცევა განპირობებულია დაუოკებელი სწრაფვით რაღაც უსაზღვროსაკენ, შეუცნობელისაკენ, შინაგანი ვრცელი თავისუფლებისაკენ, გავკადნიერდებით და ვიტყვით, სწრაფვა პირველყოფილი ბიბლიური ჰარმონიულობისკენ, ედემისკენ, სადაც არც უსამართლობაა, არც უმეცრება, არც სულმცირეობა, არც ღალატი და არც გულისგამაწვრილებელი სიდუხჭირე, რამაც ასე გაუმწარა ცხოვრება ღალსა და

დიდბუნებოვან პოეტს. ეს სწრაფვა ამაღლებულისკენ თავისთავად გულისხმობს მსხვერპლს მისი მხრიდან: განმარტოებას, განშორებას ყველასგან, მეგობართა და ნათესავთაგან.

შემდეგ ი. მეუნარგია აგრძელებს: „ბარათაშვილის „მერანი“ დაწერილია იმგვარსავე შემთხვევის გამო, რომლის გამოც დაწერილია მიცვევიძის პოემა. როგორც ამ უკანასკნელმა დასწერა „ფარისი“ რევეუსკის დაკარგვის გამო, ბარათაშვილმაც, როგორც ის თვითონ აღნიშნავს გრ. ორბელიანთან მიწერილ ერთს ბარათში, „ჩემს მერანს“ დასწერა მაშინ, როდესაც შეიტყო, რომ მისი საყვარელი ბიძა ილია ორბელიანი დაკარგულიყო, - შამილის მიუბრუნებლად მოეტაცნათ და ტყვედ წაეყვანათ...“ [5].

თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც „მერანი“-ს ლირიკული გმირის შესახებ (პ. ინგოროყვა, რ. ჩხეიძე), რომლის მიხედვით იგი რუსეთის იმპერიის ერთგული ჯარისკაცი და კავკასიის დამორჩილებისთვის მებრძოლი ილია ორბელიანი კი არ არის, არამედ საქართველოს ეროვნული გმირი, რუსეთის იმპერიასთან დაუღალავი და მოუხელთებელი მებრძოლი, მეფე ერეკლე II-ის ძე - ალექსანდრე ბატონიშვილია (1770-1844). მოსაზრება ეფუძნება ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელებულ ლეგენდას, რომლის შინაარსი და „მერანთან“ მისი დაკავშირების ამბები შემონახულია ოთარ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანში „ვასილ ბარნოვი“. მწერლის თქმით ალექსანდრე ბატონიშვილი „კავკასიის ხალხთა ლეგენდებში შესულიყო ნაწყვეტ-ნაწყვეტად“; „ერთი ლეკური თქმულების მიხედვით, მფრინავი ცხენი ჰყოლია ალექსანდრე ბატონიშვილსა, იმ ცხენით დაჰპროდა, უცებ გაჩნდებოდა, სადაც საჭირო იყო, და უცბადვე გაჰქრებოდა, ღრუბლებს გაეკვროდა, გადაიღვებოდა. მზის მიერ დალოცვისა და ზეცით მოვლენის სცენა „ისკანდარში“ (იგულისხმება ვასილ ბარნოვის მოთხრობა „ისკანდერ“ - მ.ც.) ამ და ამდაგვარი თქმულებიდან უნდა მომდინარეობდეს. ესევე თქმულება უფრო ადრე ნიკოლოზ ბარათაშვილს გამოუყენებია. გიორგი შატერაშვილი გულისხმობდა, რომ მერანის დაწერის საბაზი არ უნდა ყოფილიყო ილია ორბელიანის დატყვევება ლეკთა მიერა, - ილია ორბელიანი და მისი დატყვევება შეუსაბამო საბაზია, ან ძალიან პატარა საბაზია „მერანის“ შთაგონებისთვისა. „მერანი“ შთაგონებულია ალექსანდრე ბატონიშვილისა და მისი მფრინავი ცხენის ლეკური თქმულებისაგანაო; ნიკოლოზ ბარათაშვილმა ილია ორბელიანის დატყვევება კონსპირაციული მიზნით გაისაბაზაო“ [6].

ვერ დავეთანხმებით გიორგი შატერაშვილის მოსაზრებას, რომ ილია ორბელიანის დატყვევება არ არის საკმარისი მიზეზი „მერანის“ დასაწერად, რადგანაც ბარათაშვილის პირადი წერილებიდან გრ. ორბელიანისადმი ჩანს, რომ მან ძალიან განიცადა ბიძის ამბავი: „ილიას ამბავი რომ შევიტყვე, ჰსწორე გითხრა, ძალიან შევწუხდი, ასე, რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავი ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და, რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა. ბოლოს მესამეს დღეს ეს ლქსები დავეწერე და თითქოს ამან რაღაც შვება მომცაო“ [7].

ამ წერილიდან ისიც აშკარაა, რომ „მერანის“ დაწერის გამომწვევი ფაქტორი ილია ორბელიანის დატყვევებაა. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ პოეტი თვითონ ამბობს, რომ გაბრუებული იყო უცნაური ფიქრებით და სურვილით და თვითონაც არ იცოდა რა უნდოდა, შეიძლება დავუშვათ ის ვარაუდიც, რომ ადრესატი ალექსანდრე ბატონიშვილი იყო. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, თუ რარიგ ეწვოდა ტატოს გული სამშობლოს ბედზე [8]. ამას ისიც დავუმატოთ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი მას ნათესავად ერგებოდა და ნიკოლოზ ბარათაშვილი დაახლოებული იყო 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებთან. ყოველივე ამის გათვალისწინებით არც თუ ისე უსაფუძვლოდ ჟღერს ეს ვერსია.

არის კიდევ ერთი განსხვავებული ვერსია, რომელიც ეკუთვნის პავლე ინგოროყვას და რომელიც ყველაზე უფრო მართებულად ჟღერს. პავლე ინგოროყვა წერს, რომ ზემოთაღნიშნულ წერილში გრ. ორბელიანისადმი „მას შემდეგ, რაც აღწერილია ილიას ვაჟკაცობა, ყოფილა საკმაოდ ვრცელი ტექსტი - 21 სიტყვისგან შემდგარი - რომელიც წერილის პირველად დაბეჭდვის დროს წერილიდან ამოუღიათ, ცხადია, იმის გამო, რომ იგი პოლიტიკურად სახიფათო ყოფილა.

თუ რა ეწერა წერილიდან ამოღებულ ამ ტექსტში, ამას ისევ დავუბრუნდებით. წერილიდან ამოღებულ ამ ტექსტს (21 სიტყვისგან შემდგარი) წერილში მოჰყვება შემდეგი ტექსტი:

„აი, რას ფიქრობს პოეტი ილიას მაგივრად (ეს ფრაზა რუსულად არის ნაწერი: „Вот что думает поэт за Илью“, აღნიშნავთ ამასთან, რომ ამ ტექსტს დღემდე შეცდომით თარგმნიდნენ ამრიგად: „აი, რას ფიქრობს პოეტი ილიკოს შესახებ“. ასეთი თარგმანი აშკარა დამახინჯებაა წერილის დედაზრისა.):

„მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი...“ (მოყვანილია მთელი ლექსი).

გავეცნოთ ამის შემდეგ წერილის პუბლიკაციის ისტორიას, რა დროსაც მომხდარა წერილიდან ამოღება ზემოთ მოხსენებული პოლიტიკურად სახიფათო ნაწილისა. ეს ჩვენ ბევრ საკითხში გაგვარკვევს.

ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა ზემოთ, რომ წერილის დედანი 1873 წელს გრიგოლ ორბელიანს გადაუცია გამოსაქვეყნებლად პეტრე უმიკაშვილისთვის. პ. უმიკაშვილს იმავე 1873 წელს გადმოუწერია პირი წერილისა და ამ გადმონაწერის მიხედვით დაიბეჭდა წერილის ტექსტი ჟურნალ „კრებულში“ 1873 წელს (N III). ეს ტექსტი განმეორებულია შემდეგ სხვა გამოცემებშიაც (სად ინახება ამჟამად თვით დედანი გრ. ორბელიანის წერილისა, უცნობია).

პ. უმიკაშვილის გადმონაწერიდან ირკვევა, რომ წერილის დედანში, მითითებულ ადგილას, ყოფილა ვრცელი ტექსტი, 21 სიტყვისაგან შემდგარი; ეს ტექსტი, როგორც ირკვევა, იმდენად სახიფათო ყოფილა პოლიტიკური მხრით, რომ პ. უმიკაშვილს არა თუ არ უცდია მისი დაბეჭდვა ჟურნალ „კრებულში“, არამედ შეუძლებლად ჩაუთვლია მისი გადმოწერაც კი თავის ხელნაწერში; პ. უმიკაშვილს ჩაუნიშნავს ეს ტექსტი თავის გადმონაწერში დამიწვრულად, ასეთი სახის კოდით: ხაზების სიმოკლე-სიგრძით აღუნიშნავს სიტყვების სიმოკლე-სიგრძე; სიტყვათა ჯგუფები გაუყვია ნიშნით); ამავე დროს აღუნიშნავს სასვენი ნიშნები (, ოთხჯერ; ბოლოში !).

ტექსტი როგორც ირკვევა, არა მარტო სახიფათო ყოფილა პოლიტიკურად, არამედ, ამავე დროს, იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ პ. უმიკაშვილს სურდა არ დავიწყნოდა იგი და ასეთი კოდისათვის მიუმართავს.

თუ რას შეიცავდა საცენზურო პირობების გამო ამოღებული ეს ტექსტი, ამის ამოცნობა შესაძლო ხდება თუმცა ზოგადად, მაგრამ, ვფიქრობ, სავსებით ზუსტად.

ჯერ გავითვალისწინოთ ტექსტების თანმიმდევრობა:

1. პირველი ტექსტი - ილიას ვაჟკაცობის აღწერილობა;

2. ამას მოსდევს მეორე ტექსტი, შემდგარი 21 სიტყვისაგან, ამოღებული საცენზურო მიზეზების გამო;

3. ამას უშუალოდ მოსდევს პოეტის განცხადება: „აი, რას ფიქრობს პოეტი ილიკოს მაგივრად“ - რასაც მიჰყვება ლექსი: „მირბის, მიმაფრენს...“ (მერანი).

ილია ფიქრობს ერთს, ხოლო პოეტი ფიქრობს სხვას; სახელდობრ, პოეტი ფიქრობს მას, რაც გადმოცემულია „მერანში“.

რამი მდგომარეობდა მათ შორის სხვაობა? ცხადია, ეს იყო აღნიშნული მეორე ტექსტში, რომელიც საცენზურო პირობების გამო ამოთებული იქნა წერილიდან.

ჩვენ არ შევცდებით, თუ დავასკვნით, რომ ამ მეორე ტექსტში მოხსენებული იყო იმპერატორი (ან პირდაპირ ამ დაწერილობით „იმპერატორი“, ან სრულიად გამჭვირვალე მითითებით).

წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოუდგენელია, რომ მიემართათ ასეთი საგანგებო კოდისათვის ტექსტის დასაშიფრავად.

პოეტი დიდად აფასებს ილიას დიდ ვაჟკაცობას, მაგრამ უმძიმს, რომ ილია ამ ვაჟკაცობას სწირავს იმპერატორს, და არა თავის ქვეყანას, თავის ხალხს. ილია ფიქრობს ერთს - „იმპერატორსა ემსხვერპლეთ“; ხოლო პოეტი ფიქრობს სხვას, რაც მან „მერანში“ გამოსახა, ე.ი. თავისი ქვეყნისა და ხალხის თავგანწირულ სამსახურს, თავდადებას, „რათა მოძმესა მისსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს“... [9].

ამ ნაწილში პავლე ინგოროყვა საუბრობს იმაზე, რომ ბარათაშვილს გასაკიცხ საქმედ მიაჩნია რუსეთის იმპერატორის ჯარში სამსახური, ამ ვარაუდს ამყარებს ბარათაშვილის გიმნაზიის დროინდელი ამბები და მისი ახლო კავშირები 1832 წლის აჯანყების მონაწილეებთან, რაც კარგად ჩანს გრიგოლ გურიელის მონათხრობიდან: „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მე ერთ სკოლის სკამზედ ვიჯექით. ნ. ბარათაშვილმა წინეთ შეიტყო, რომ შენ გაგჩხრეკენო. მას ბევრი ლექსები აქვნდა რუსის მთავრობის წინააღმდეგ ნაწერი. იგი მალე წავიდა სახლში, მეც თან წამიყვანა, ყველა ეს ნაწერები ბუხარში შეყარა და ცეცხლს მისცა“ [10].

თუმცა ამ ვარაუდის საწინააღმდეგო ფონს ქმნის ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ გამოთქმული გულისწყვეტა იმის თაობაზე, რომ ოჯახმა იგი არ გაუშვა ჯარში სამსახუროდ, რაზეც გრ. ორბელიანისადმი წერილში საუბრობს: „საყვარელო ძიავ! აგერ წელიწადნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე და ვიმყოფები სულა ი რასპრავაში. წარდგენილი ვარ ჩინზედ და ჩქარაც მოველი. მაგრამ უნდა აღვიარო, რომ არც პანსიონში ყოფნის დროს, когда будущность моя представлялась мне в

радушных мечтаниях, да არც მერმე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯარისკაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდე და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხოლმე გულში“ [11]. ასევე 1843 წლის 21 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში ტატო გრიგოლ ორბელიანს ახსენებს დაპირებას და სთხოვს, რომ უშუამდგომლოს და რენენკამპთან დაანიშნინოს მისი თავი, რომელიც ესტონური წარმომავლობის რუსი გენერალია და აქტიურად არის ჩართული სამხედრო საქმეებში [12]. ეს ფაქტები იძლევა იმის საფუძველს, რომ ეჭვი შევითანოთ პ. ინგოროყვას ვარაუდში ნ. ბარათაშვილის დამოკიდებულების შესახებ ილია ორბელიანის რუსეთის ჯარში სამსახურთან დაკავშირებით და ჰიპოთეზის სახით შეიძლება დავუშვათ, რომ ამოღებულ ტექსტში შესაძლებელია ტატოს მხრიდან რამე შეუფერებელი ან კადნიერი ხუმრობა ეწერა, რაც პ. უმიკაშვილმა საჭიროდ ჩათვალა რომ ამოეღო.

თუმცა დავუბრუნდეთ სათქმელს „მერანი“-ის ადრესატთან დაკავშირებით. პავლე ინგოროყვა აგრძელებს საუბარს ტატოს გრ. ორბელიანისადმი 1942 წელს მიწერილ წერილზე და საბოლოოდ დაასკვნის: *„თვით ნ. ბარათაშვილი იმავე წერილში სწერს გრიგოლ ორბელიანს, რომ, როდესაც გავიგო ილია ორბელიანის დატყვევება და ილიას მიერ გამოჩენილი ვაჟკაცობა, „სამი დღე გაბრუებული ვიყავ სხვადასხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით“. ს უ რ ვ ი ლ ი თ! ეს იყო სურვილი, რომ მას ეხილა სხვა ვაჟკაცები, თავისი ქვეყნისა და ხალხისთვის თავგანწირულნი და თავდადებულნი.“*

ამრიგად, ადრესატი „მერანისა“ არის არა სხვა ვინმე, არამედ თვით ნიკოლოზ ბარათაშვილი; ხოლო ბარათაშვილთან ერთად რუსთაველის მიერ დახატული გმირი ავთანდილი. ბარათაშვილი თავისი „მერანით“ გადაჰკვეთს ბედის საზღვარს, რათა მოძმესა თვისსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს; ასევე ავთანდილი (რომლის აღთქმა - „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“) ველად არის გაჭრილი და მოივლის მსოფლიოს ტყვეობაში მყოფი ნესტან-დარეჯანის სახსენლად. *ასეთია უსაზღვრო არე და სული მერანისა“ [13].*

თუმცა ილია ორბელიანის რუსულ ჯარში სამსახურის გამო ტატოს მხრიდან საყვედურის ვერსიას ვერ გავიზიარებთ, მაგრამ ის ნაწილი, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი თავადვე „მერანი“-ის ადრესატი, სარწმუნოდ მიგვაჩნია. წერილში იგი ამბობს: *„აი, რას ფიქრობს პოეტი ილიკოს მაგივრად“,* ეს ფრაზა, ჩვენის აზრით, უნდა ნიშნავდეს – *„აი, როგორ მოიქცეოდა პოეტი ილიკოს ადგილზე“,* ანუ გაიქცეოდა, თავს დააღწევდა ყოველგვარ წინააღმდეგობას და მის ამ სწრაფვას ვერაფერი დააკლებდა. თითქოს, ამით ერთგვარად ურჩევს ტყვეობიდან გაქცევას, (ისიც გავითვალისწინოთ, რომ ილია ორბელიანმა მართლაც სცადა ტყვეობიდან გაქცევა, თუმცა კი მაინც შეიპყრეს და უკან დააბრუნეს), თითქოს, საკუთარი მაგალითით უჩვენებს, რომ ბედთან ბრძოლაში ფარ-ხმალი არ უნდა დაყარო, რომ ის, ტატო ბარათაშვილი უფრო მეტ წინააღმდეგობას ეჩეხება ცხოვრებაში, ის არის დევნილი რუსული მთავრობისგან საკუთარ ქვეყანაში, მას არ აძლევენ გასაქანს, მისი გაქანების ადამიანი პალატაში გამოკეტეს, სადაც დროის ხარჯვა უსახურ ბიუროკრატიულ ქაღალდების გადაწერაზე უწევს, მისი ოჯახი უკიდურეს სიღატაკეშია ჩავარდნილი, ის კი უარს ამბობს ქრთამის აღებასა თუ ვინმეს უსამართლოდ შევიწროებაზე [14]; სანიმუშო სიბეჯითეს უჩვენებს აქაც [15], მაინც ეკლად ესობა გულზე აქაურ რუს მმართველებს, მშვიდად ვერ არიან, სანამ ტატო თბილისშია და ნახიჩევანში გაამწყესეს, შემდეგ - განჯაში, სადაც გარდაიცვალა კიდევ უსახსრობაში, სიღარიბეში, ყველასგან დაუტირებელი. და მაინც, ამ მოჯადოებული წრის მიუხედავად, ტატო აგრძელებდა წერას, წერას სამშობლოზე, თავისუფლებაზე, სიყვარულზე, მშვენიერებაზე... ეს იყო მისი უდრეკი პასუხი, მისი მერანის თავდაუზოგავი ჭენება ბედის საზღვარის გადასალახად და მისი მოძმე, ვინც მის ნაკვალევს უნდა გაჰყოლოდა ბედთან ამ შეუპოვარ ბრძოლაში, იყო დატყვევებული ილია ორბელიანი.

იგივე განდევნისა და გადასახლების გზა გაიარეს ჯ. ბაირონმა და ა. მიცკევიჩმა. მათი მხედარიკ გათანგულია ბედთან ჭიდილში. თუმცა „ფარისი“-სა და „მერანი“-ის სიუჟეტისგან განსხვავებით, სულ სხვა ტიპის ამბავი უდევს საფუძვლად „მაზეპა“-ს. „მაზეპა“ ჭუჭყიანს, „დასვრილს“ ნიშნავს და სათაური თითქოს გვაშადებს ნაწარმოების შინაარსისთვის, რომლის მთავარი გმირიც თითქოს „ამოსვრილია“ საკუთარ ხორციელ ვნებებში. პოემა ნარატიული ხასიათისაა. ის ეყრდნობა ლეგენდას ივან მაზეპას (1639-1709; შემდგომში უკრაინის ჰეტმანი) ახალგაზრდობისდროინდელ ამბავზე. პოემის მიხედვით, ახალგაზრდა მაზეპას სასიყვარულო კავშირები ჰქონდა გაბმული პოლონელ გრაფინიასთან, ტერეზასთან, რომელიც გათხოვილი იყო თავისზე ბევრად უფროს გრაფზე. ამ ამბის გამოაშკარავების

შემდეგ გრაფმა გადაწყვიტა მაზეპას დასჯა: გაუხედნავი ცხენის ზურგზე მიაბმევინა იგი სრულიად შიშველი და ცხენი ალალ-ბედზე გააშვებინა. პომის ძირითად ნაწილში აღწერილია ცხენის ზურგზე თასმებით მიბმული გმირის მტანჯველი მოგზაურობა.

პოემა იწყება შესავალი ამბით: უკრაინის ჰეტმანი მაზეპა და შვედეთის მეფე ჩარლზ XII, თავიანთ ჯართან ერთად უკან იხევენ პოლტავიდან, სადაც მარცხი განიცადეს რუსეთის იმპერატორთან ბრძოლაში. დაღლილებმა და ომით მოქანცულებმა გაშალეს ბანაკი ღამის გასათევად (თავი 1-2). მეფე აღფრთოვანდა მაზეპას ცხენოსნობით და მაზეპამ უყვება მეფეს, თუ რამ დაახელოვნა ამ საქმეში (თავი 4). ამის შემდეგ თხრობა პირველ პირში გრძელდება. მაზეპა აღწერს თავის ახალგაზრდობას, როდესაც პოლონეთში მეფე იოანე II კაზიმირთან მსახურობდა პაჟად (თავი 4) და როდესაც გაიცნო ტერეზა, ლამაზი აღმოსავლური გარეგნობის ქალი „აზიური თვალებით“, რომელიც გათხოვილი იყო თავისზე ოცდაათი წლით უფროს გრაფზე. მაზეპას ვნებიანად შეუყვარდა იგი, მას არ შეუძლია ამ ვნების დამორჩილება, ისინი ხვდებიან ღამით და ხორცს შესახამენ თავიანთ სიყვარულს (I. 298-300).

თუმცაღა, გრაფის ხალხმა შეისწრო ისინი და გრაფს მიჰგვარა. გრაფმა ბრძანება გასცა, რომ აღესრულებინათ უჩვეულოდ სასტიკი სასჯელი: მაზეპა ღვედებით მიაკოჭეს გაუხედნავი ცხენის ზურგს, შემდეგ ცხენს სარჭი ჩაარჭეს და ალალ-ბედზე მიუშვეს (თავი 9). 10-18 თავები ეძღვნება ცხენის ჭენების აღწერას აღმოსავლეთ ევროპაში, ამასთან ერთად ხაზგასმულია ის ტანჯვა, ტკივილი და გაოგნება, რომელსაც მაზეპა განიცდის. თუმცა ცხენს თითქმის უსაზღვრო ენერგია აქვს და მაზეპა ორჯერ კინაღამ მოკვდა. მეცამეტე თავში იგი საკუთარ თავს აღწერს, როგორც „სიკვდილის პირას“ მყოფს, მაგრამ ძალებს აღიდგენს, როდესაც ცხენი მდინარეს გადაცურავს. მეთვრამეტე თავი მთავრდება მაზეპას გაშემებული სხეულის აღწერითა და მის მიერ ყორანის ხილვით, რომელიც თავს დასტრიალებს და მზად არის მის ცხედარზე ნადიმის დასაწყებად. თუმცა მეცხრამეტე თავში გაღვიძებული მაზეპა საწოლში აღმოჩნდება და მის ჭრილობებს „კაზაკი გოგონა“ უვლის. ბოლო თავში მაზეპას თხრობა მთავრდება. პოეტი-მთხრობელი გვიხატავს მაზეპას სურათს, რომელიც საწოლს იმზადებს დასაძინებლად. მეფე კი „უკვე ერთი საათის ჩამძინებულია“ [16].

შეკითხვა იმაზე, უნდა მოსწონდეს თუ არა მკითხველს მაზეპა, დიდი ხანია მწვავე განხილვის საგნად იქცა. კრიტიკოსები. უ. ჰ. მარშალი თვლის, რომ მაზეპა სრულიად არაპოზიტიური გმირია - „ენაჭარტალა და ეგოისტი მოხუცი კაცია“, რომელიც არასოდეს აგებს პასუხს თავის დანაშაულზე და რომლის ბანალური აღწერა საკუთარი ვნებისა ტერეზასადმი „იმთავითვე მოსაწყენი ხდება“ [17]. თუმცა ჯერომ მაკგანი (1968) საწინააღმდეგო პოზიციაზეა და ამტკიცებს, რომ მაზეპას „შლეგი ჭენება“ ერთგვარი „დასაწყისია იმ პროცესისა“, რომელიც მას გმირად აყალიბებს, გმირად, რომელსაც შეუძლია მოთოვოს საკუთარი ვნებები მეფე ჩარლზისგან განსხვავებით [18].

ჰუმბერტ ბაბინსკიც (1974) ასევე გვთავაზობს მაზეპას პოზიტიურ პერსონაჟად აღქმას. იგი ხაზს უსვამს მის გულისხმიერებას ჩარლზისა და ცხენებისადმი ნაწარმოების დასაწყისსა და ბოლოში. ბაბინსკის მოსაზრებით მაზეპას გმირი „ბაირონის ერთ-ერთი ყველაზე რეალისტური ქმნილებაა, პეროიკული ადამიანური პოტენციალის ფარგლებში“ და რომ ის „კაცობის კარგი ნიმუშია“ [19]. ის ასევე ამტკიცებს, რომ მაზეპას სამკვდრო-სასიცოცხლო გამოცდილება მისი ამ „შლეგი ჭენების“ დროს არის პომის მთავარი სათქმელი და სიმბოლურად აღნიშნავს ადამიანის გარდაქმნისა და ხელახლა დაბადების შესაძლებლობას. იგი ასევე ამტკიცებს, რომ ფრანგმა მხატვრებმა, რომლებმაც აიტაცეს მაზეპას თემა შემდგომში უფრო განავრცეს ეს იდეა [20].

ამრიგად, ჩვენ ვნახეთ, რომ ჯ. ბაირონის „მაზეპა“-ს საფუძვლად უდევს ლეგენდა კონკრეტულ ისტორიულ პიროვნებაზე. შეიძლება ითქვას, რომ ნაწარმოები გაორებულ გრძნობას იწვევს, მასში დრამატული მოვლენები მსუბუქ შავ იუმორთან ერთად არის შეზავებული (ბოლო ეპიზოდი, როდესაც მაზეპა ასრულებს თხრობას და ხედავს, რომ მეფეს უკვე დიდი ხანია ჩასძინებია). გარდა ამისა, პოეტი ლექსით ძირითადად თავის თავს წერს, თავისი შინაგანი სამყაროს შესახებ წერს. ჩვენი აზრით, შემთხვევითი არ არის, რომ ბაირონმა ეს პერსონაჟი აირჩია თავისი ნაწარმოების მთავარ გმირად. პერსონაჟი, რომელიც ამართლებს თავის გვარს („მაზეპა“ ნიშნავს „ბინძურს“, „დასვრილს“) თავისი ავხორციული ქცევით: ვნებას აყოლილმა უკანონო კავშირზე დაიყოლია ახალგაზრდა ქალი და დაანგრია მისი ცხოვრება, თავს კი მხოლოდ იმით იმართლებს, რომ ვნება წყლავდა, რომელსაც ვეღარ აკონტროლებდა:

*„But all men are not born to reign,
Or o'er their passions, or as you
Thus o'er themselves and nations too.
I am – or rather was – a prince,
A chief of thousands, and could lead
Them on where each would foremost bleed;
But could not o'er myself evince
The like control – But to resume:
I loved, and was beloved again [21].*

მაგრამ ყველა კაცი არ არის ისე გაჩენილი,
რომ მართოს თავისი ვნებები და ან თქვენსავით
საკუთარი თავიც და მთელი ერები.
მე ვარ - ან უკეთ - ვიყავი თავადი,
ათასობით კაცის მთავარი და შემდეგ მათ წავძღოლოდი
იქითკენ, სადაც გაჩაღებულიყო სისხლისმღვრელი ბრძოლა;
მაგრამ არ შემეძლო საკუთარ თავზეც გამომეჩინა
მსგავსი ძალა-უფლება - რომ შევაჯამო:
მე მიყვარდა, და ვიყავი საყვარელი მე მისთვის კვლავაც [22].

ვფიქრობთ, რომ აქ ჯ. ბაირონი საკუთარ თავსაც ამხელს იმ აურაცხელ სასიყვარულო თავგადასავლების გამო, იმ ვნებათაღელვების გამო, რომელიც მას კონტროლს აკარგვინებდა საკუთარ თავზე. მისი მხრიდან ეს ერთგვარ აღსარებასავით ჟღერს. ის ასამართლებს საკუთარ თავს, სჯის კიდეც და სასჯელის შემდეგ იწყალებს კიდეც - მაზეპას უცნობი ადამიანები გადაარჩენენ და სიცოცხლეს უბრუნებენ. ჩვენის აზრით, ბაირონისეული მაზეპა არც გმირი და არც ანტიგმირი არ არის, ის უბრალოდ ადამიანურია თავისი დაცემებითა და შეცდომებით, თუმცა ის განცდები, რასაც მხედარი ცხენის მოგზაურობისას განიცდის და რასაც მას მიაწერს ბაირონი, სწორედ ეს არის ჰეროიკული, სწორედ ეს არის ის მძაფრი პოეტური გრძნობები, რასაც თავად ავტორი განიცდის და რაც ასე თანგავს მის სულს. თუმცაღა, დაუბრუნდეთ ისევ სათქმელს და ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ ბაირონის მხედარი მიზმულია თასმებით ცხენის ზურგს, რომელზეც ვნებებმა დააკრა, და მთლიანად მინდობილია მის ჭენებას. აქ ალევგორიულად ცხენში შეიძლება იგულისხმებოდეს ბედისწერა, რომელსაც ვეღარ მართავს მისი მხედარი, რადგან ხორციელ ვნებას შეუკრავს მისთვის ხელ-ფეხი. ვნებას აღძრავს კი მასში ქალის ფიზიკური სილამაზე და ამ გარეგნულ სილამაზეს ბაირონის მხედარი შინაგან სილამაზესთან აიგივებს, პოემაში არაფერია ნათქვამი ქალის თვისებებზე, ოღონდაც მისი გარეგნობის აღწერის შემდეგ მისი გამოხედვა შედარებულია წმინდანების გამოხედვას მოწამეობრივი აღსასრულის წინ:

*„She had the Asiatic eye,...
Dark as above us in the sky;
But through it stole a tender light,
Like the first moonrise at midnight;
Large, dark, and swimming in the stream,
Which seem'd to melt to its own beam;
All love, half languor, and half fire,
Like saints that at the stake expire,
And lift their raptured look on high,
As though it were a joy to die.” [23].*

“მას ჰქონდა აზიური თვალები,...
მუქი, როგორც ჩვენს თავზე ზეცა;
თუმცაღა ნაზი შუქი ანათებდა მას,
ვით შუალამეს ახლადამოსული მთვარე,
დიდი, მუქი და თითქოს შუქის ნაკადში მოცურავე,
რომელიც თითქოს დნება საკუთარ ნათებაში;

*სრულად სიყვარული, ნახევრად მთვლემარე, ნახევრად მგზნებარე,
მსგავსად წმინდანებისა, კოცონზე რომ ცოცხლად წვავენ,
მათ კი აღტაცებული მზერა ზე-აღუპყრიათ,
თითქოსდა უხაროდეთ სიკვდილი.“ [24].*

იქნებ სწორედ აქ არის ბაირონის გმირის საბედისწერო შეცდომა: იგი ხორციელში ეძიებს სულიერს. მაგრამ ხორციელი სილამაზე ყოველთვის არ ნიშნავს სულიერ მშვენიერებასაც, რაც ასე კარგად აქვს გამიჯნული ბარათაშვილის თავის ერთ-ერთ ლექსში:

*„სილამაზეა მხოლოდ ნიჭი ხორციელების,
და, ვით ყვავილი, თავის დროზე მსწრაფლად დაჰკნების;
აგრეთვე გულიც, მხოლოდ მისდამი შენამსჰვალეები,
ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცეები!
მშვენიერება ნათელია, ზევით მოსული,
რომლით ნათლდება ყოვლი გრძნობა, გული და სული,
და კაცთა შორის ვით კერძოსა ღვთაებობისა,
რად გრწამს არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა?“ [25].*

ამიტომაც, ბაირონი ვერ პოულობს-რა თავისი სულის მონათესავეს, ყოველ ჯერზე იმედგაცრუებული რჩება.

მსგავსების მიუხედავად, სამივე ნაწარმოების დასასრული სხვადასხვაა: „მაზეპა“-ს ბოლო კეთილი აქვს – მის გონიხდილ მხედარს კეთილი ადამიანები პოულობენ და გადაარჩენენ. „ფარისი“ ს მხედარი, სამშვიდობოს გასულა და მის წინაშე გახსნილია უსაზღვრო თვალსაწიერი:

*„თვალთა ისარი გამიხდა გრძელი,
მზერა მაქვს ღრმა და საოცრად ვრცელი:
ამდენი სივრცე ხედვის არეში
არ დამტევია არც ერთ მხარეში“ [26].*

მაგრამ ეს უკვე სულისთვის დამახასიათებელი ხილვადობაა, ჭეშმარიტების წვდომაა, ფიზიკური სხეულისათვის ესოდენ შეუსაბამო და ლოგიკურია, რომ ბოლო სტროფით ავტორი გვატყობინებს მხედარის მიცვალებას იმიერ სამყაროში, მხედრისა, რომელიც შეებრძოლა ყოველგვარ განსაცდელს, მაგრამ სამშვიდობოს გასული ძალაგამოცლილი დაეცა:

*„რა კარგი არის მხრები ლაღად რომ გაშლილია!
სამყაროს მკლავნი გავუწოდე ალერსიანად,
ვგონებ, ჩავიკრა დედამიწა მკერდში მთლიანად!
ცისფერ სივრცეში ფიქრი ჩემი მიექანება,
სულ ზევით, ზევით - ცის გუმბათის თაღს ეტანება.
ვით ფუტკრის ნესტარს გადაჰყვება თან მისი გული,
მეც ლაფვარდ ცაში ფიქრთან ერთად ჩავძირე სული!“ [27].*

„მერანი“-ს მხედრის ბოლო კი ბუნდოვანია, თუმცა მასში უდიდესი წინააღმდეგობების მუხტი იგრძნობა, ერთი შეხედვით გადაულახავი დაბრკოლებები ელობება წინ, მაგრამ ასევე დიდია მხედრის თავგანწირვაც, ავბედითი წინათგრძნობის მიუხედავად, გადარჩენის იმედი მაინც ცოცხლობს - ეს დაუმრეტელი სიცოცხლისუნარიანობა უკვე ქართული ხასიათია, ათასწლეულების განმავლობაში გენეტიკურ დონეზე ჩამოყალიბებული, და თუ არ უწერია ამ იმედს ასრულება, მაშინ რჩება მაინც უდიდესი ნუგეში, რომ ეს თავგანწირვა ამაო არ იქნება, რომ მისი გაკვალილი ბილიკი მომდევნო გზას უჩვენებს და სავალს გაუიოლებს...

*„დაე, მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამზღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი!
ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება,
და გზა უვალი შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;
და ჩემს შემდგომად მომძესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,*

და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავი ბედის წინ გამოუქროლდეს!” [28].

აკი, უჩვენა კიდეც – მთელი შემდეგი თაობები გაიზარდნენ ბარათაშვილის პოეტურ მემკვიდრეობაზე, მის წინაშე კრძალვით თავს ხრიდნენ, ლექსებს უძღვნიდნენ, განიცდიდნენ მის გავლენას ისეთი დიდი პოეტები და მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ზორის პასტერნაკი, არტურ ლაისტი, ავეტიქ ისააკიანი და ა.შ. [29].

ჯ. ბაირონის „მაზეპა“ ძალიან პოპულარული იყო რომანტიზმის ადრეულ ხანაში; მაზეპას თემაზე იწერებოდა პიესები, მუსიკალური ნაწარმოებები. ზოგადად ბაირონმა მიმართულება მისცა მთელს ეპოქას, თუმცა დღესდღეობით „მაზეპა“ ნაკლებად იპყრობს კრიტიკოსების ყურადღებას. „ფარისი“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა პოლონელ, რუს და ქართველ მოაზროვნეებს შორის. ისიც ცნობილია, რომ მას ხშირად კითხულობდნენ საქართველოს 1832 წლის შეთქმულების მონაწილენიც. რაც შეეხება ბარათაშვილის „მერანი“-ს, ის ღრმად აღიბეჭდა გულში ყოველმა ქართველმა. „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება!“ – 180 წელზე მეტია უკვე ქართველობა ამ სიტყვებით იმხნეებს თავს და ყველაზე უკიდურეს გასაჭირშიც კი გვჯერა, რომ ამოდ არ ჩაივლის თავგანწირული სულისკვეთება. მაშ, ღირს ბრძოლა და ღირს თავდადება!

ლიტერატურა

1. ი. მეუნარგია: „ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა“ გამომც. „საბჭოთა საქართველო“ თბილისი 1968 წ. 5. ციტირებულია: One Hundred Modern Poems Selected, A Mentor Book, New York: The New American Library, 1951, 7.
2. ადამ მიკევიჩი; რჩეული თხზულებანი; „ფარისი“, „საბჭოთა საქართველო“ 1986 წ.
3. ნიკოლოზ ბარათაშვილი თხზულებანი; გამომც.: „საბჭოთა საქართველო“ 1968 წ.;
4. ნიკოლოზ ბარათაშვილი, „პირადი წერილები“, მ. ცერცვაძე, თბილისი, 2015წ. გამომც. „არტანუჯი“.
5. პ. ინგოროყვა, „ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი“; გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1968 წ.
6. მ. ცერცვაძე, „100 ამბავი. ნიკოლოზ ბარათაშვილი“; გამომც. „არტანუჯი“, 2020 წ.
7. G. Byron "Mazeppa".
8. "ნიკოლოზ ბარათაშვილი „ფოტოალბომი“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1968 წ.
9. ნ. ბარათაშვილი, „რად ჰყვდრი კაცსა“.
10. [https://en.wikipedia.org/wiki/Mazeppa_\(poem\)](https://en.wikipedia.org/wiki/Mazeppa_(poem)) ; Overview; (თარგმანი მ.ნიკოლაძე).
11. Marshall, W. H. (1961). "A Reading of Byron's Mazeppa". Modern Language Notes. 76 (2): 120 doi:10.2307/3040622. JSTOR 3040622.
12. McGann, Jerome (1968). Fiery Dust: Byron's Poetic Development. Chicago: University of Chicago Press. pp. 177–184.
13. Babinski, p. 46.
14. Bialas, Zbigniew (1999). East-Central European Traumas and a Millennial Condition. East European Monographs. New York: Columbia University Press.
15. <https://vasmer.slovaronline.com/7294-https://allpoetry.com/poem/8532063-Faris-by-Adam-Mickiewicz>
16. Adam Mickiewicz, "Faris", Analysis; (თარგმანი მ.ნიკოლაძე) <https://allpoetry.com/poem/8532063-Faris-by-Adam-Mickiewicz>

About the issue of the addressees and motives of „Mazeppa“, „Faris“ and „Merani“

Maia Nikoladze

Abstract

In the beginning of the XIX century three poetic masterpieces – “Mazeppa” by G.G. Byron, “Faris” by A. Mickiewicz and “Merani” by N. Baratashvili were written. These were the poems, which greatly affected the following epoch in literature. They have many issues in common, though differences are also obvious. Among differences can be assumed the addressees of the poems and to some extent the motives as well. These issues are discussed in the article.